ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარეს ბატონ ირაკლი კუჭავას

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერის

დავით შარაშიძის

განმარტებითი ბარათი

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიამ შეიმუშავა დადგენილების პროექტი „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკარო პირთა რეგისტრაციისა და მათი დროებითი საცხოვრისით უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველოს კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ფ“ ქვეპუნქტის თანახმად, მუნიციპალიტეტის საკუთარ უფლებამოსილებებს მიეკუთვნება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკაროთა თავშესაფრით უზრუნველყოფა და რეგისტრაცია. აღნიშნული წესი ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკარო პირად რეგისტრაციისა და თავშესაფარი ფართით უზრუნველყოფის კრიტერიუმებსა და პროცედურებს განსაზღვრავს. უსახლკარო პირად რეგისტრაციისათვის მოქალაქე უნდა აკმაყოფილებდეს შესაბამისი წესის თანახმად დამტკიცებულ ყველა კრიტერიუმს, მათ შორის, რეგისტრირებული უნდა იყოს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე. აღნიშნული წესის განსახორციელებლად, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიაში უნდა შეიქმნას სამუშაო ჯგუფი, რომელიც სხვადასხვა უწყების წარმომადგენლებით დაკომპლექტდება.

პროექტის ავტორი და საკრებულოს სხდომაზე დანიშნული მომხსენებელია მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის უფროსი ნიკოლოზ დუმბაძე.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერი: დავით შარაშიძე